

სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია საქართველოს სამხედრო ძალების შევსება ჯანმრთელი კონტიგენტით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევა სამხედრო ძალებში გაწვევის წინ.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები.
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. კომპონენტები და მომსახურების მოცულობა

1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სრულად
2. პროგრამის კომპონენტები და მომსახურების მოცულობა განსაზღვრულია შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| კომპონენტები | მომსახურების მოცულობა |
|--|---|
| <p>1. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმების კომპონენტი</p> | <p>კომპონენტით განსაზღვრული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ფინანსდება სრულად</p> <p>ა) მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო – საექსპერტო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება;</p> <p>ბ) დამატებითი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების უზრუნველყოფა, კერძოდ;</p> <p>გ) სპეციალისტების კონსულტაცია (თერაპევტი, ოტორინოლარინგოლოგი, ქირურგი, ფსიქიატრი, დერმატოვენეროლოგი, ოფთალმოლოგი, სტომატოლოგი, ნევროპათოლოგი, ფთიზიატრი, ორთოპედ-ტრავმატოლოგი)</p> <p>დ) დამატებითი სამედიცინო გამოკვლევები</p> <p>დ.ა) სისხლის საერთო ანალიზი;</p> <p>დ.ბ) შარდის საერთო ანალიზი;</p> <p>დ.გ) ფიბროგასტროდუოდენოსკოპია;</p> <p>დ.დ) ელექტროკარდიოგრაფია;</p> <p>დ.ე) სისხლის ჯგუფის და რეზუსის განსაზღვრა;</p> |

| | |
|---|--|
| | <p>დ.ვ) ფლუოროგრაფია; დ.ზ) აივ ანტისხეულების (ანტიგენის) განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით; დ.თ) HBsAG განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით; დ.ი) HCV საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა სისხლის შრატში სწრაფი/მარტივი მეთოდით; დ.კ) ათამანგის დიაგნოსტიკა (ექსპრეს მეთოდით).</p> |
| <p>2. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების კომპონენტი</p> | |

მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
2. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს პროგრამის შესაბამისად განსაზღვრავს სააგენტო და ინფორმაციის სახით წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების მექანიზმები

1. დაფინანსება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
2. ერთი წვევამდელის ამბულატორიული გამოკვლევის ღირებულება განისაზღვრება 53 ლარით.

მუხლი 7. პროგრამის ბიუჯეტი

”საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 200 000 ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

| კომპონენტები | ბიუჯეტი (ათასი ლარებში) |
|--|-------------------------|
| 1. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმების კომპონენტი | 750.0 |
| 2. სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევის კომპონენტი | 450.0 |
| სულ | 1 200.0 |

